დამტკიცებულია:
ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის
გალობის უნივერსიტეტის“ რექტორის 2023 წლის 08 დეკემბრის
№03 ბრძანებით (დანართი29)

ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის“ აკადემიური პერსონალის აფილირების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის“ (შემდეგში - „უნივერსიტეტი“) აკადემიური პერსონალის აფილირების წესი (შემდეგში - „წესი“) არეგულირებს გალობის უნივერსიტეტსა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირებს შორის აფილირებასთან დაკავშირებით წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებს და ადგენს იმ პირობებს, რომელთა დაცვაც სავალდებულოა აკადემიური პერსონალისთვის.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ა) აფილირება - აფილირება გულისხმობს, უნივერსიტეტსა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირს (პროფესორი, ასოცორებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი) შორის წერილობით შეთანხმებას, რომლითაც თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი ადასტურებს თავის აფილირებას უნივერსიტეტთან, მისი სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში და ამ პირის კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის შედეგები ეთვლება უნივერსიტეტს;

ბ) აფილირებული აკადემიური პერსონალი – აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელსაც უნივერსიტეტთან წერილობით გაფორმებული აქვს აფილირების შეთანხმება;

გ) აფილირების შეთანხმება – წერილობითი შეთანხმება, რომელიც გაფორმებულია უნივერსიტეტსა და მის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფ პირს შორის და განსაზღვრავს მხარეთა უფლება-მოვალეობებს შრომითი ურთიერთობების და აფილირების შესახებ (აფილირების შესახებ შეთანხმების ფორმა მტკიცდება რექტორის ბრძანებით).

მუხლი 3. აფილირებული აკადემიური პერსონალი

1. უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალი შედგება აფილირებული პროფესორებისგან, აფილირებული ასოცირებული პროფესორებისგან და

აფილირებული ასისტენტ-პროფესორებისგან. აფილირების საკითხი რეგულირდება უნივერსიტეტსა და აკადემიურ თანამდებობაზე მყოფ პირს შორის გაფორმებული ორმხრივი შეთანხმების სახით, რომელიც ხდება უნივერსიტეტსა და აკადემიურ თანამდებობაზე მყოფ პირს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.

2. აფილირების შესახებ შეთანხმებით აფილირებული პროფესორი განსაზღვრავს აფილირებას მხოლოდ უნივერსიტეტთან, მისი სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარების და ცოდნის გაზიარების პროცესში და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის სამეცნიერო/შემოქმედებით საქმიანობას უკავშირებს გალობის უნივერსიტეტს;

ა) განახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/შემოქმედებით/საშემსრულებლო საქმიანობას, ხოლო საქმიანობის შედეგები ჩაეთვლება გალობის უნივერსიტეტს, მიუხედავად სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და ორგანიზაციის/დაწესებულების მხრიდან მათი მხარდაჭერისა;

ბ) აქტიურად იქნება ჩართული გალობის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო, შემოქმედებით/საშემსრულებლო/კვლევით და სხვა მნიშვნელოვან აკადემიურ თუ საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

გ) აქტიურად იქნება ჩართული უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევისა და აკადემიური/სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესებში;

დ) დაგეგმავს თემატურ შეხვედრებს და უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართულობას სამეცნიერო, შემოქმედებით, შემოქმედებით, საშემსრულებლო და კურიკულუმსგარეთა სხვადასხვა აქტივობებში.

3. უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალის უფლებები და ძირითადი მოვალეობები გაწერილია აფილირების შეთანხმებასა და უნივერსიტეტის "აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის და პროფესიული განვითარების შეფასების წესში".

4. აფილრების მსურველი პირი აკადემიურ თანამდებობას იკავებს კონკურსის გზით „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად. უნივერსიტეტი უფლებამოსილია კონკურსის გამოცხადებისთანავე სპეციალურ პირობად მიუთითოს აფილირების შესახებ.

5. აფილირებულ პირთან შრომის ხელშეკრულება ფორმდება აკადემიური თანამდებობის დაკავების ვადით. შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის წესი და საფუძვლები განისაზღვრება ამავე ხელშეკრულებით.

6. აფილირებული პირი ვალდებულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციას ყოველი სასწავლო სემესტრის დაწყებამდე მიაწოდოს ინფორმაცია სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მისი აკადემიური ან/და სხვა სახის დატვირთვის შესახებ.

7. უნივერსიტეტი უფლებამოსილია აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან აფილირების შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში შეუწყვიტოს მას აფილირების შეთანხმება და ასეთის არსებობის შემთხვევაში მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 3. უნივერსიტეტში არჩეული აკადემიური პერსონალის აფილირება

1. აკადემიურ პერსონალი, რომელსაც წინამდებარე წესის ამოქმედების მომენტისთვის გალობის უნივერსიტეტში უკავია აკადემიური თანამდებობა (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) უფლებამოსილია, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, გალობის უნივერსიტეტის ნების გათვალისწინებით, გააფორმოს აფილირების შეთანხმება გალობის უნივერსიტეტთან.

2. აფილირებული აკადემიური პერსონალი გალობის უნივერსიტეტთან შეთანხმებით უფლებამოსილია სხვა უმაღლეს საგანმანთლებლო დაწესებულებაში დაიკავოს აკადემიური ან მოწვეული პერსონალის თანამდებობა და განახორციელოს სწავლება.

მუხლი 4. უნივერსიტეტის უფლებამოსილება

აფილირებული პერსონალის მიერ გაწეული საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/საშემსრულებლო/შემოქმედებითი მუშაობის წახალისების მიზნით უნივერსიტეტი უფლებამოსილია აფილირებული პერსონალისთვის განხორციელოს დამატებითი მხარდაჭერის ღონისძიებები:

ა) სრულად, ან ნაწილობრივ დააფინანსოს აფილირებული პირის მიერ უნივერსიტეტის სახელით გამოსაცემად მომზადებული სახელმძღვანელო, სამეცნიერო სტატია, თარგმანი, ალბომი (აუდიო ან ვიდეო), ლექციათა კრებული და სხვა;

ბ) სრულად, ან ნაწილობრივ დააფინანსოს აფილირებული პირის მიერ გალობის უნივერსიტეტის სახელით ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, ფესტივალებში, კონცერტებში, სხვა სამეცნიერო-შემოქმედებით ფორუმებში მონაწილეობა.

მუხლი 5. გარდამავალი დებულებები

1. პირი, რომელსაც სურს დაიკავოს უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობა ან უკვე ფლობს მას, ვალდებულია გაეცნოს წინამდებარე წესის მოთხოვნებს.
2. აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევი პირი, კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით ვალდებულია გაეცნოს წინამდებარე წესს, წერილობით დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს მხოლოდ უნივერსიტეტთან აფილირების შეთანხმებას, რომელიც ძალაში შევა მის მიერ შესაბამისი აკადემიური თანამდებობის დაკავებისთანავე.
3. უნივერსიტეტის მოქმედი აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) უფლებამოსილია გააფორმოს აფილირების შეთანხმება უნივერსიტეტთან ამ წესით

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

1. წესი დამტკიცდეს რექტორის ბრძანებით.
2. წესში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა, მისი ძალადაკარგულად გამოცხადება ან/და ახალი რედაქციის დამტკიცება ხორციელდება რექტორის ბრძანების საფუძველზე.
3. წესი ამოქმედდეს დამტკიცებისთანავე.